თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

„რთველი 2016“-ის ფარგლებში ყურძნის სუბსიდირება განხორციელდება

იხილეთ მე-2 გვერდზე

გიორგი ვაშაძე:

ქუთაისი უმუშევრობის დონით საქართველოში პირველ ადგილზეა

მართალია თუ არა პოლიტიკოსი? იხილეთ ფაქტ-მეტრის კვლევა

იხილეთ მე-3 გვერდზე

№7 (746) 18 ივლისი , 2016 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

როგორც ბიჭები გადაწყვეტენ?!

დიდი ხნის უნახავი კლასელები შევიკრიბეთ ამისწინ, ცუდი მიზეზით - თანაკლასელი გარდაგვეცვალა. სამძიმრისა და მიკითხვ -მოკითხვის შემდეგ, იმაზე დავიწყეთ საუბარი, როგორ დავხმარებოდით გარდაცვლილის ოჯახს.

- როგორც ბიჭები გადაწყვეტენ, ისე გავაკეთებთ! - ამბობს მაკა.

ბიჭები (40-ს გადაცილებული მამაკაცები) შვიდნი არიან, ქალები ცხრა ვართ. ალბათ, ცხრავე ასე ვფიქრობთ - როგორც ბიჭები იტყვიან და გადაწყვეტენ.

- რატომ უნდა გავაკეთოთ ისე, როგორც ბიჭები იტყვიან? იქნებ, მე უფრო ჭკვიანურს ვამბობ ან შენ, მაკა?- ყველასთვის მოულოდნელი იყო ნატოს სიტყვები. იმ ჩუმი, მოკრძალებული გოგონასი, კლასში მის არსებობასაც კი ძლივს რომ ვამჩნევდით.

და ქალბატონმა ნატომ წყნარად, მაგრამ დამაჯერებლად ახსნა, რატომ იყო ბიჭების მოსაზრებაზე უკეთესი მისი ვერსია, რომელსაც გულში სხვებიც ვეთანხმებოდით, მაგრამ მაინც ისე გადავწყვიტეთ, როგორც ბიჭებმა თქვეს.

- ეს როგორ შეცვლილა, ხედავთ? - ნატოს წასვლის შემდეგ აბუზღუნდნენ კაცები.

ჩამაფიქრა ამ შემთხვევამ. მე და კიდევ რამდენიმე გოგოს, კლასის აქტივისტებს, ჩვენი თანხმობის გარეშე ბიჭები ვერცერთ გადაწყვეტილებას რომ ვერ იღებდნენ: ექსკურსიაზე წასვლა იქნებოდა, „შატალოზე“ თუ რაიმე ღონისძიების მოწყობა, აზრადაც კი არ მოგვსვლია, რომ გაგვპროტესტებინა „ბიჭების გადაწყვეტილება“, ნატომ კი სცადა მაინც დინების საწინააღმდეგოდ გაცურვა.

ხშირად მიფიქრია ამაზე: სკოლის პერიოდში, ძირითადად, გოგონები არიან აქტიურები, მიზანდასახულები, უკეთესი აკადემიური მოსწრებით, დისციპლინით, შემოქმედებითი თუ კლასგარეშე საქმიანობით...

მერე კი, რატომღაც ასპარეზს კაცებს უთმობენ - თუნდაც არაფრით გამორჩეულ კაცებს და თვითონ ამ კაცების სატელიტები ხდებიან - ცოლები, დები, შვილები, დედები...

და შედეგად, საქართველოს მთავრობაში ორად-ორი მინისტრია ქალი, ხალხის რჩეულის სტატუსს კი, ქვეყნის პარლამენტში მხოლოდ 15 ქალბატონი ატარებს, 135 მამაკაცის გვერდით. კიდევ უფრო მძიმე სიტუაციაა ადგილობრივ თვითმმართველობებში, განსაკუთრებით - მაღალ და საპასუხისმგებლო თანამდებობზე.

იმ მამაკაცების უმრავლესობა, რომლებიც დღეს არიან ქვეყნის მართვის სათავეში, საჯარო გამოსვლებისას ღიად აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ გენდერულ თანასწორობას, რომ მოხარულნი იქნებიან, თუ პოლიტიკაში ბევრი ქალი იქნება, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, ყოველთვის ყველაფერი ისეა, როგორც კაცები გადაწყვეტენ და მათი აბსოლუტური უმრავლესობა ფიქრობს, რომ ქალის ადგილი მხოლოდ ოჯახში, სამზარეულოში, სკოლაში, საბავშვო ბაღში...და არამცდაარამც - პოლიტიკაში.

ქალი ბევრად უფრო ძლიერი უნდა იყოს მამაკაცზე, რომ იგივე პოზიციებს მიაღწიოს, რასაც მამაკაცები აღწევენ.

ქალთა დაწინაურების სხვადასხვა მექანიზმებს შორის, გენდერული კვოტირება ერთ-ერთ ყველაზე აპრობირებულ-მეთოდად განიხილება. მიუხედავად იმისა, რომ კვოტებს მოწინააღმდეგეებიც მრავლად ჰყავს, ის კვლავ რჩებაყველაზე ეფექტურ ინსტრუმენტად ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად.

საქართველოს პარლამენტში გენდერული კვოტების შესახებ დისკუსია 2003 წელს დაიწყო. კვოტირებისსაკანონმდებლო ინიციატივის განხილვისას კენჭისყრის პროცედურაში მაშინ მხოლოდ 67-მა დეპუტატმა მიიღომონაწილეობა და ინიციატივა ჩავარდა. ასევე განუხილველად დარჩა 32000 ათასი ამომრჩევლის მიერინიცირებული საკანონმდებლო ინიციატივა.

2012 წლის მოწვევის პარლამენტი ამ თემაზე პარალელურად ერთ საკანონმდებლო ინიციატივას დაერთ საკანონმდებლო წინადადებას განიხილავს.

პარლამენტის წევრების - ნანა ყეენიშვილისა და თემურ ჭკუასელის ინიცირებით, საარჩევნო კოდექსითსავალდებულო ხდება პარტიების მიერ წარდგენილპროპორციულისიებისყოველსამეულში მინიმუმ ერთიგანსხვავებული სქესის კანდიდატის დასახელება (პრინციპი - სამეულში 2 კაცი 1 ქალი ან - 2 ქალი 1კაცი), ხოლო ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ჯგუფის მიერ ინიცირებული წინადადების მიხედვით,ყოველი მეორე კანდიდატი განსხვავებული სქესის უნდა იყოს (პრინციპი - ქალი-კაცი ან კაცი -ქალი). აღნიშნული კვოტები მხოლოდ პროპორციულ საარჩევნო სისტემას ეხება.

თემამ ამ პარლამენტშიც და მის გარეთაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, თვით ცალკეულ პარტიებს შიგნითაც კი.

კვოტირების მოწინააღმდეგეთა უმეტესობა სულაც არ ამბობს, რომ პოლიტიკაში, პარლამენტში მეტი ქალი არ უნდა იყოს, მაგრამ ამბობენ, რომ ამას კანონი არ უნდა ავალდებულებდეს და რომ ამას ისინი კანონ-ვალდებულების გარეშეც გააკეთებენ, თუმცა რეალობა სულ სხვა რამეზე საუბრობს: დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში მხოლოდ 12 პროცენტია ქალი, მაშინ, როცა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, 2014 წლის 1 მაისისათვისამომრჩეველთა საერთო რაოდენობამ 3 472 772 შეადგინა და მათ შორის 1 866 514 (53.7%) ქალია - ანუ, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ქალები უმრავლესობას შეადგენენ, არჩევანს კაცების სასარგებლოდ აკეთებენ.

ამიტომაც, ძნელი დასაჯერებელია, რომ კვოტირების კანონის გარეშე მომავალ პარლამენტში მაინც ვიხილავთ 50% ქალს.

ასეა, როცა ყველაფერი ისე ხდება, „როგორც ბიჭები გადაწყვეტენ“...

ირმა მარდალეიშვილი

ტერაქტი საფრანგეთში - ომმა თანამედროვე სამყაროში სახე იცვალა

საფრანგეთის ქალაქ ნიცაში, 14 ივლისიის დღესასწაულზე შეკრებილ ხალხის მასაში სატვირთო ავტომობილი შევარდა. ინციდენტი საღამოს ნიცის ინგლისურ სანაპიროზე მოხდა, სადაც ადამიანები ფოერვერკის საყურებლად იყვნენ შეკრებილნი. ავტომობილი ხალხის მასაში დიდი სისწრაფით შეიჭრა. ტერაქტს 84 ადამიანი ემსხვერპლა, 100-ზე მეტი დაშავდა. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა კიდევ 3 თვით გაახანგრძლივეს.

ქვეყნის პრემიერმინისტრმა ვანუელ ვალსმა ელისეის სასახლეში ძალოვანი უწყების წარმომადგენლებთან უსაფრთხოების საბჭოს საგანგებო სხდომა გამართა.

„საფრანგეთი მის შუაგულში კიდევ ერთხელ გახდა ტერორიზმის სამიზნე და თან ეს ჩვენი ეროვნული დღესასწაულის დროს მოხდა. ეს საფრანგეთის ერთიანობის დარღვევის კიდევ ერთი მცდელობა იყო. მინდა საფრანგეთის მოსახლეობას ვუთხრა, რომ ჩვენ არასდროს დავნებდებით. ტერორიზმს უფლებას არ მივცემთ დაგვაჩოქოს“,- განაცხადა საფრანგეთის პრემიერმინისტრმა.

საფრანგეთში მომხდარ ტერაქტზე პარალელები 11 სექტემბრის ტერაქტთან ივლება. ქართველი ანალიტიკოსების შეფასებით, ტერაქტების სერია პარიზში არა მარტო ფრანგების ტრაგედია, არამედ გამოწვევაა გლობალური უსაფრთხოებისთვისაც. მათი განცხადებით, ტერორისტების მიზანი ცივილიზებული სამყაროს დაშინებაა და ევროპა თავდაცვით პოზიციაში არ უნდა დარჩეს.

ექსპერტების განცხადებით საფრანგეთის ტერაქტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ომმა თანამედროვე სამყაროში სახე იცვალა, ჰიბრიდული ომის დროს კი ძნელია გაარკვია რეალურად ვინ არის თავდამსხმელი, ორგანიზატორი და დამფინანსებელი. ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ ამ გლობალურ კონტექსტში საფრთხე შესაძლოა საქართველოსაც მიადგეს.

ტერაქტების სერიამ პარიზში მორიგ ტრაგედიად არ უნდა ჩაიაროს, ევროპამ დასკვნები უნდა გააკეთოს და თავდაცვის ნაცვლდ პროაქტიური პოზიცია უნდა ეჭიროს, — ფიქრობენ საქართველოში.

წყარო: სხვადასხვა

PS news.ge

ISSN 1987-7056

უფასო wi-fi ,,Kutaisi loves you" ქუთაისის ცენტრალურ ბულვარში

ქუთაისის მერიის ინიციატივით ცენტრალურ ბულვარში უფასო wi-fi ამოქმედდა. დღეიდან ადგილობრივ მცხოვრებლებს და ქალაქის სტუმრებს ისტორიულ ბულვარში უფასო wi-fi ით სარგებლობა შეეძლებათ. აღნიშნული გადაწყვეტილება ადგილობრივმა თვითმმართველობამ ტურისტების მხარდასაჭერად მიიღო. ბულვარის გვერდით ასევე არის ენერგოეფექტური სკვერი, სადაც მსურველებს თავიანთი ტექნიკის დამუხტვა შეუძლიათ.

ქუთაისის მერიამ საზაფხულო ბაგა-ბაღების მასწავლებლები დამატებითი სამუშაოსთვის წაახალისა

მიუხედავად იმისა, რომ ააიპ ქალაქ ქუთაისის „ბაგა - ბაღების გაერთიანების" ფილიალებში სასწავლო პროცესი 24 ივნისს შეწყდა,ქუთაისის მერიის მხარდაჭერით 27- ივნისიდან 29 - ივლისის ჩათვლით, ფუნქციონირება დაიწყო საზაფხულო ჯგუფებმა, გაერთიანების N16 (მის. **ევდოშვილის N83) და N25 (**მის. **ხორავას N8) ფილიალებში.**

ქუთაისის მერმა შოთა მურღულიამ ააიპ „ბაგა ბაღების გაერთინების" ხელმძღვანელთან და ადმინისტრაციის უფროსთან ერთად, საზაფხულო ბაღი დაათვალიერა. მან პედაგოგებს მადლობა გადაუხადა დამატებითი სამუშაოსთვის და ისინი 50% -იანი დანამატით წაახალისა.
ორ საზაფხულო ბაგა-ბაღში 400 ბავშვია რეგისტრირებული.

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

— ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S."
(„პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ა. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

რა შეუფასეს დადებითად და რა უარყოფითად საქართველოს პარლამენტს

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" საპარლამენტო მონიტორინგის ფარგლებში უკვე მესამედ წარმოადგინა საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის წლიურ შეფასებას.

ანგარიში შეეხება **საქართველოს პარლამენტის 2015 წლის საქმიანობას (საგაზაფხულო, საშემოდგომო და რიგგარეშე სესიები)** და მოიცავს საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წელს განხორციელებულ საკანონმდებლო საქმიანობის შეფასებას, საპარლამენტო კონტროლის განხორციელებას, პარლამენტის კომიტეტების და ცალკეულ პარლამენტის წევრთა საქმიანობის შეფასებას.

2015 წლის საგაზაფხულო, საშემოდგომო და რიგგარეშე სესიების პერიოდში პარლამენტმა **მიიღო 490 კანონი,** მათ შორის 326 საქართველოს მთავრობის ინიციირებული, 1601 დადგენილება, რატიფიცირებული იქნა 49 საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება და კონვენცია. 2015 წელს პრეზიდენტმა ერთხელ გამოიყენა ვეტოს უფლება და 31 ივლისს „ეროვნული ბანკის შესახებ" კანონში ცვლილებებს ვეტო დაადო.

2015 წელს პარლამენტში **ჩატარდა 65 პლენარული სხდომა,** მათ შორის, 19 რიგგარეშე სხდომა. **კვორუმის არარსებობის გამო არ შედგა 7 სხდომა.** საანგარიშო პერიოდში ჩატარდა პარლამენტის ბიუროს 129 სხდომა და კომიტეტების 668 სხდომა.

2015 წელს პარლამენტის წევრებმა საპატიო მიზეზით სხდომა 2199 შემთხვევაში გააცდინეს. მათ შორის ოჯახური მდგომარეობა – 1442 **გაცდენა** (2014 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 65–ით გაიზარდა)

2015 წელს სამივლინებო ხარჯებზე დაიხარჯა 1,513,385.63 ლარი. მივლინებაში იყო პარლამენტის 98 წევრი.

2015 წელს პარლამენტის საქმიანობაში **დადებითად შეიძლება შეფასდეს**:

- რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონის მიღება, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მათ შორის: ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმა, არასრულწლოვანთა მართლსაჯულების კოდექსი, არასრულწლოვანთა ქორწინების აკრძალვა
- საპარლამენტო კონტროლის გაძლიერებისკენ მიმართული ცვლილება, რომელიც თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან არსებული ნდობის ჯგუფის მანდატის გაფართოებას ითვალისწინებს
- პარლამენტმა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით დაამტკიცა ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა და ღია მმართველობის გლობალურ სამიტზე მოიპოვა ჯილდო სამოქალაქო სექტორთან აქტიური თანამშრომლობისათვის

2015 წელს პარლამენტის საქმიანობაში **უარყოფითად შეიძლება შეფასდეს**:

- პარლამენტის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის რეფორმა, რომელმაც ვერ მოახდინა აღნიშნული უწყებების სრული რეფორმირება და დარჩა საკითხები რომლებიც მნიშვნელოვან დახვეწას საჭიროებს. აგრეთვე რამდენიმე კანონის მათ შორის, შუღლის გაღვივების კრიმინალიზება, ეროვნული ბანკისაგან ზედამხდველობის ფუნქციის გამოყოფა, მოწმის დაკითხვის წესთან დაკავშირებული ცვლილებები.
- მნიშვნელოვანი კანონების ამოქმედების დაუსაბუთებლად გადავადება და კანონპროექტთა დაჩქარებული წესით სისტემატური განხილვა (2015 წელს 11 კანონის ამოქმედება გადავადდა, მათ შორის 4 კანონის 2014 და 2015 წლებში).
- სუსტი საპარლამენტო კონტროლი– პარლამენტი სათანადოდ არ იხილავს მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშებს, 2015 წელს პარლამენტში არ ჩატარებულა სამთავრობო საათი და მიუხედავად უმცირესობისა და ფრაქცია "თავისუფალი დემოკრატების" მიერ დაყენებული 5 მოთხოვნისა არ შეიქმნა დროებითი საგამოიებო კომისია

www.transparency.ge/

ტურისტებს ქუთაისზე ვებგვერდი მარტივად მოუთხრობს

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურის ტურიზმის განყოფილებამ ტურისტული ვებ-გვერდის www.kutaisi.travel პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაციას ქუთაისის მერი შოთა მურღულია და ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ვებ-გვერდი ქალაქ ქუთაისის და მისი მიმდებარე ადგილების შესახებ ტურისტებისათვის ინფორმაციის მარტივად მიწოდების მიზნით შეიქმნა. საიტის მეშვეობით ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა მიეცემა მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ქალაქში არსებული ტურისტული ატრაქციების, კვების ობიექტების, ქალაქის აქტივობების, იმერული სამზარეულოს, ღვინის და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

www. kutaisi.travel იმყოფება მუდმივი განახლების რეჟიმში , შესაბამისად ახალი ტურისტული ობიექტის შექმნის შემთხვევაში ინფორმაცია საიტზე განთავსებული კონტაქტების მეშვეობით შეგიძლიათ მიაწოდოთ ვებ-გვერდის ადმინისტრატორს.

,,რთველი 2016''-ის ფარგლებში ყურძნის სუბსიდირება განხორციელდება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, რთველი 2016 - ის ფარგლებში ყურძნის სუბსიდირება განხორციელდება. როგორც მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ აღნიშნა, ღვინის ექსპორტის ზრდის პარალელურად, საერთაშორისო ბაზარზე ფიქსირდება ღვინის სარეალიზაციო ფასის შემცირება. აქედან გამომდინარე, მევენახე გლეხების ინტერესის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ რთველი 2016-ის ფარგლებში სუბსიდიის გაცემის გადაწყვეტილება მიიღო.

,,2016 წლის რთველის ფარგლებში, სახელმწიფოს მიერ სუბსიდია **1 კგ რქაწითელსა და კახურ მწვანეზე განისაზღვრა 45 თეთრით, 1 კგ საფერავზე - 20 თეთრით, 1 კგალექსანდროულსადამუჯურეთულზე2 ლარით.**2016 წლის რთველის ფარგლებში ყურძენს 100-ზე მეტი ღვინის საწარმო ჩაიბარებს.

გასული წლის მსგავსად, სუბსიდია გაიცემა პირდაპირ მევენახეებზე და არა ღვინის მწარმოებელ კომპანიებზე. ამ პრინციპის მთავარი უპირატესობა არის ის, რომ გლეხი ჩაბარებული ყურძენის საფასურს დაგვიანების გარეშე, ყურძნის ჩაბარებიდან დაახლოებით 2 კვირის განმავლობაში, ბანკში მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე მიიღებს. სახელმწიფოსხელშეწყობით, მევენახეგლეხებს/ფერმერებსჩაუბარებელიყურძენიარდარჩებათ. 2016 წელს ყურძნის საპროგნოზო მოსავალის რაოდენობა 180 ათას ტონას შეადგენს", - აღნიშნა ოთარ დანელიამ.

სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებით, გრძელვადიან პერსპექტივაში მევენახეობა-მეღვინეობისდარგმა ქვეყნის ეკონომიკისწინსვლაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს. მას სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური დახმარება სუბსიდიის სახით აღარ უნდა დასჭირდეს.

,,როგორც პრემიერ მინისტრმა განაცხადა, ჩვენითვითმიზანიარისაერთოდგამოვიდეთ, სუფსიდიისმიდგომებიდან, როდესაცდარგიამისშესაძლებლობასმოგვცემს. ფაქტია, რომდღესდარგს ხელშეწყობა კვლავ სჭირდება.მნიშვნელოვანიაროგორცმევენახეების, ასევე მწარმოებელთა ინტერესებისგათვალისწინება", - განაცხადა მინისტრმა.

ოთარ დანელიას თქმით, აღნიშნულიმიზნისმისაღწევად, სახელმწიფოს ხელშეწყობით მევენახებისა და ღვინის მწარმოებლებისთვის ხელმისაწვდომიაია ფიფინანსური რესურსი შეღავათიანი აგროკრედიტისსახით, ხორციელდებააგროდაზღვევა, ვენახებისუწყებრივიკადასტრისპროგრამა, საექსპორტობაზრების დივერსიფიკაციისღონისძიებები, რომლისშედეგადგაზრდილიაღვინისექსპორტი.

მევენახეობა-მეღვინეობისდარგისგანვითარებისხელშეწყობისმიზნითგანხორციელებული ღონისძიებების შედეგად, დღეის მდგომარეობით: შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში დაფინანსებულია 22 ახალი, ხოლო გაფართოებულია 43 ღვინის მწარმოებელი საწარმო. ეს პროცესი კვლავ გაგრძელდება", - აღნიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

ოთარ დანელიამ ქართული ღვინის ექსპორტის სტატისტიკაზეც ისაუბრა. მინისტრის განცხადებით, 2016 წლის პირველ ნახევარში საქართველოდან მსოფლიოს 40 ქვეყანაში ექსპორტირებულია 19,8 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 44%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 46,6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 18%-ით მეტია გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე.

საანგარიშო პერიოდისთვის ექსპორტის მატება აღსანიშნავია როგორც ევროკავშირის ქვეყნების, ისე ჩინეთისა და სხვა ტრადიციული ბაზრების მიმართულებით. 2016 წლის 6 თვის მონაცემებით, ჩინეთმა მე-4 ადგილიდან მე-3 ადგილზე გადაინაცვლა ისეთი ტრადიციული ბაზრების შემდეგ, როგორიცაა რუსეთი და უკრაინა.

საქართველოს სახალხო დამცველი ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევებს ეხმაურება

შემაძრწუნებელი დანაშაულებრივი ფაქტების შემსწრე გავხდით ბოლო დღეების განმავლობაში. ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევებმა არნახულ სისასტიკეს მიაღწია. მომხდარი ფემიციდის შემთხვევები არ არის მხოლოდ კონკრეტული ოჯახების ტრაგედია, ესაა მთელი საზოგადოების ტკივილი და პრობლემა, რომელთანაც გამკლავება ვერ შევძელით.

ბოლო წლებში ქალთა მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის რაოდენობრივი მაჩვენებლების შეჯამებით გამოიკვეთა, რომ შემთხვევათა უმრავლესობა ჩადენილია პარტნიორის, ყოფილი პარტნიორის ან პირის მიერ, რომელსაც უარი ეთქვა პარტნიორულ ურთიერთობაზე. რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ქვეყანაში გენდერული უთანასწორობის მაღალ მაჩვენებელზე.

აღნიშნული პრობლემის სიმძაფრისა და მასშტაბების მიუხედავად, არსებული კანონმდებლობა და სამოქმედო გეგმები პრაქტიკაში ეფექტური განხორციელების პრობლემის წინაშე დგას. ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა საკანონმდებლო და ინსტიტუციური სივრცის დახვეწისათვის. ოჯახში ძალადობისაგან დამცავი მექანიზმების გამოყენების მაჩვენებელი და შესაბამისი უწყებების მხრიდან აქტივობა კვლავ არ პასუხობს არსებულ საჭიროებებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 12 ივლისს, თბილისში მომხდარი მკვლელობის შემთხვევამდე მსხვერპლს მიმართული ჰქონდა სამართალდამცავი უწყებისადმი, რომელიც ხელწერილის გამოყენებით შემოიფარგლა. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის არაერთი მოწოდების მიუხედავად, ხელწერილების მავნე პრაქტიკა კვლავ არ აღმოფხვრილა, რასაც სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი შემთხვევებიც ცხადყოფს. ასევე არ ხორციელდება რისკების ინდივიდუალური შეფასება, რაც განმეორებითი შემთხვევების თავიდან აცილების შესაძლებლობებს შექმნიდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, მოვუწოდებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უმოკლეს დროში გააკეთოს მკაფიო განმარტება.

გარდა აღნიშნულისა, კვლავ ბუნდოვანია სოციალური მუშაკების როლი და მათი ჩართულობა ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესწავლის პროცესში; არ ხორციელდება ეფექტური მონიტორინგი განმეორებითი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით; არაერთი მოწოდების თუ დაპირების მიუხედავად, არ მომხდარა ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ კონვენციის რატიფიცირება, რომელიც უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს შეიტანდა არსებულ მექანიზმებში. ამ ფონზე კი განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრებმა ვერ დაინახეს ფემიციდის დეფინიციის საჭიროება და მხარი არ დაუჭირეს საქართველოს პარლამენტის წევრების ინიციატივას, რომელიც კიდევ ერთხელ გაუსვამდა ხაზს საკითხის აქტუალობასა და მნიშვნელობას.

საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას შექმნილი ვითარების ფონზე, დაუყოვნებლივ მოხდეს შესაბამისი უწყებების მხრიდან დროული, ეფექტური და ანგარიშვალდებული ღონისძიებების განხორციელება. საგანგებო ყურადღება დაეთმოს ოჯახში ძალადობისა და ოჯახური კონფლიქტის თითოეულ შეტყობინებას და გატარდეს ყველა შესაბამისი ღონისძიება ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისა და პრევენციისათვის.

www.ombudsman.ge

განცხადება

220კვ ეგხ. „სათაფლია“-ს, 220კვ ეგხ. „აჯამეთი-1,2“-ის და 220კვ ეგხ. „კოლხიდა-1“ის პროექტირება-გაორჯაჭვიანების პროექტი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის (გზშ-ს) საჯარო განხილვას.

პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება 2016 წლის 25 ივლისს ქუთაისის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში 14:00 სთ-ზე. მისამართზე: ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქ. №3.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს არსებული 220კვ. ეგხ „სათაფლიას“ პროექტირება-გაორჯაჭვიანება, არსებული 220კვ „აჯამეთი-1,2“-ის პროექტირება-გაორჯაჭვიანება (რომლის მეშვეობითაც მოხდება ქვესადგურ "წყალტუბო 220"-სა და ქვესადგურ "ქუთაისი 220"-ს შორის კავშირი) და „კოლხიდა-1“-ის გაორჯაჭვიანება-რეაბილიტაცია, რაც გულისხმობს გაუმართავ მდგომარეობაში მყოფი ანძებისა და სადენების შეცვლას.

განსახილველი გზშ-ს ანგარიშის წინასწარი ვერსია და შესაბამისი დეტალური ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეთათვის ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

მისამართი: ქ.თბილისი, ბარათაშვილის №2, III სართული, ოთახი №304 (ამობეჭდილი ვერსია), ელექტრონული ვერსია იხილეთ ვებ-გვერდზე www.gse.com.ge

- ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის გამგეობა

მისამართი: ქ. ქუთაისი, , რუსთაველის ქ. №3.

მოსაზრებების წარდგენა წერილობითი შენიშვნები და კომენტარები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ შემდეგ მისამართზე:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ — ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, III სართული, ოთახი №304, ტელ. 2 510 264,.

საკონტაქტო პირი:
ზეზვა ხვედელიძე
ელ. ფოსტა:
zezva.khvedelidze@gse.com.ge

გიორგი ვაშაძე:

ქუთაისი უმუშევრობის დონით საქართველოში პირველ ადგილზეა

23 ივნისს, ქუთაისში, მხარდამჭერებთან შეხვედრისას, პოლიტიკური მოძრაობა "ახალი საქართველოს" ლიდერმა, გიორგი ვაშაძემ განაცხადა: „ქუთაისი საქართველოში სიდიდით მეორე ქალაქია, უმუშევრობის დონით კი – პირველი".
ფაქტ-მეტრმა ამ განცხადების სიზუსტე გადაამოწმა.

საქართველოში დასაქმების მონაცემებს ოფიციალურად სტატისტიკის ეროვნული სამსახური აღრიცხავს. გარდა ამისა, ამ თემაზე ქვეყანაში მოქმედი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს აქვეყნებს.

საქსტატის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ქვეყანაში არსებული უმუშევრობის დონე რეგიონულ ჭრილში. ამ ინფორმაციის თანახმად, უმუშევრობის საერთო მაჩვენებელი საქართველოში 12%-ს შეადგენს. უმუშევრობის დონის მიხედვით იმერეთის რეგიონი მეშვიდეა (8.8%). პირველ ადგილს თბილისი იკავებს (21.4%). საქსტატის განმარტებით, უმუშევრობასთან დაკავშირებულ მონაცემებს თბილისისა და რეგიონების დონეზე ამუშავებენ და აქვეყნებენ, ცალკეული ქალაქების მიხედვით კი ამ მაჩვენებლის დადგენა არ ხდება.

საკითხის დაზუსტების მიზნით, ფაქტ-მეტრი „ახალი საქართველოს" ლიდერს დაუკავშირდა და სთხოვა განემარტა, თუ რომელ მონაცემებს ეყრდნობოდა. ვაშაძის თქმით, მას მხედველობაში ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) ანგარიშები ჰქონდა, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში, 2014 წელს გამოქვეყნდა.

NDI-ის მიერ არჩევნებამდე, 2014 წლის აპრილში გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, გამოკითხულებმა ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხად უმუშევრობა დაასახელეს. თუმცა, ორგანიზაციას საზოგადოების განწყობის კვლევაში უმუშევრობის მაჩვენებელი ცალკეული ქალაქების მიხედვით არ გამოუკვლევია.

ამავე ორგანიზაციის 2015 წლის აგვისტოში მომზადებულ კვლევაში კი, ცალკეულ ქალაქებში გამოკითხულებმა მათსავე ქალაქებში არსებული დასაქმების პერსპექტივა შეაფასეს. ქუთაისელთა 92%-ს მიაჩნდა, რომ მათი საცხოვრებელი ადგილი სათანადო დასაქმების საშუალებას არ იძლევა. ამ მხრივ, საქართველოს ქალაქებს შორის ქუთაისი და გურჯაანი თანაბარი მაჩვენებლით პირველ ადგილზე მოხვდნენ.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ამავე პერიოდის კვლევაში უმუშევრობის შეფასების რეალურთან უფრო მიახლოებული შეკითხვა შემდეგია: თვლით თუ არა თავს დასაქმებულად? ამ კითხვაზე პასუხების თანახმად, ქუთაისელთა 58% თავს დაუსაქმებლად მიიჩნევდა. ხოლო, მათ შორის, ვინც ასე ფიქრობდა, 48% შრომისუნარიანი იყო და სამსახურს ეძებდა. მოქალაქეთა რაოდენობით, რომლებიც თავს დაუსაქმებლად მიიჩნევდნენ, არა ქუთაისი, არამედ ზუგდიდი (68%) ლიდერობდა, შემდეგ მოდიოდნენ თბილისი (64%), ახალციხე (63%), ოზურგეთი (60%) და გორი (59%). ქუთაისი აქ მეექვსე ადგილზე იყო.



*რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ჩათვლით
** სამცხე-ჯავახეთი, გურია, მცხეთა-მთიანეთი

რაც შეეხება IRI-ის 2014 წლის კვლევის მონაცემებს, ორგანიზაციის საქართველოს ოფისის ინფორმაციით, ამ გამოკითხვაში IRI დასაქმების თემას არ შეხებია. ეს საკითხი ორგანიზაციამ 2015-2016 წლებში ჩატარებულგამოკითხვაში შეიტანა. თუმცა, კვლევის შედეგები მთელი ქვეყნის მასშტაბით და არა ცალკეული ქალაქების მიხედვით შეჯამდა. შესაბამისად, ქუთაისში უმუშევრობის დონის შეფასება ვერც ამ მონაცემებით მოხდება.

დასკვნა

როგორც გაირკვა, ოფიციალური მონაცემები, თუ რომელ ადგილს იკავებს ქუთაისი საქართველოს ქალაქებს შორის უმუშევრობის კუთხით, არ მოიპოვება. საქსტატის მონაცემებით, საქართველოს რეგიონებს შორის იმერეთი უმუშევრობის დონით მეშვიდე ადგილზეა. გიორგი ვაშაძის თქმით, იგი არა სტატისტიკურ მონაცემებს, არამედ NDI-ის და RIRI-ის მიერ ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგებს ეყრდნობოდა. ამ კვლევებში კი, მხოლოდ იმის გარკვევაა შესაძლებელი, რა განწყობა აქვს ცალკეული ქალაქების მოსახლეობას საკუთარ ქალაქში დასაქმების პერსპექტივის მიმართ და მიიჩნევენ თუ არა გამოკითხულები თავს დასაქმებულად.

NDI-ის საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, ქუთაისელთა 92%-ს მიაჩნდა, რომ მათი საცხოვრებელი ადგილი სათანადო დასაქმების საშუალებას არ იძლევა. ამ მხრივ, საქართველოს ქალაქებს შორის ქუთაისი გურჯაანთან ერთად პირველ ადგილზე მოხვდა. თუმცა, კვლევაში მოცემულ შეკითხვაზე (თვლით თუ არა თავს დასაქმებულად?) პასუხების მიხედვით, ქუთაისი უმუშევრობის აღქმის მხრივ არა პირველ, არამედ მეექვსე ადგილს იკავებს.

ბუნებრივია, ისევე როგორც მთელს ქვეყანაში, უმუშევრობა ქუთაისშიც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. თუმცა, გიორგი ვაშაძის მიერ დასახელებული ფაქტი არ დასტურდება.

შესაბამისად, ფაქტ-მეტრის დასკვნით, გიორგი ვაშაძის განცხადება არის **მეტწილად მცდარი.**

ირმა ბახუტაშვილი
factcheck.ge

როგორ მოგზაურობს გურამ შეროზია იაფად — ყველა დეტალი!

უნივერსიტეტის ადრეულ კურსებზებ თითქმისვერც კი ვიოცნებებდი მოგზაურობაზებ მაშინაც კიბროცა მუშაობა დავიწყებ რატომღაც შორეულ დაძალიან ძვირ პერსპექტივად წარმომედგინასაზღვრის გადაკვეთა.

ოჯახსაც ვერ ვთხოვდი ფინანსებსბ პირადი სიამოვნებისთვისბ განსაკუთრებით მაშინ, როცა 18 წლიდან უკვე გამიჩნდა ამბიცია, რომ საკუთარი საარსებო მინიმუმი ჩემი შრომით გამომემუშავებინა, მარტოც მეცხოვრა და ბუნებრივია, სამოგზაურო თანხაზე მით უმეტეს, ვერ შევაწუხებდი მშობლებს.

22 წლის გავხდი ისე, რომ საქართველოს საზღვარი არ მქონდა გადაკვეთილი და არც თვითმფრინავში ვიყავი ნაჯდომი, თუმცა მას შემდეგბ 6 წლის განმავლობაში 50-მდე ქვეყნის მონახულება შევძელი, რასაც დიდი სიამოვნებით გაგიზიარებთ.

პირველი ქვეყანა, სადაც ვიმოგზაურებ იყო ყირგიზეთიბ სადაც DAAD-ის დაფინანსებით წავედი, 2 კვირიან ტრენინგზე, გზად სტამბულში მომიწია გადაჯდომა 8 საათიანი, შესაბამისად, ეს ქალაქიც დავათვალიერე და სწორედ მაშინ მოვიწამლე მოგზაურობის განუკურნებელი სენით. უახლოესი სამი წლის განმავლობაში, აქტიურად ვეძებდი დაფინანსებებს.ყ სტუდენტებისთვის ეს არც ისე რთულია, მთავარია მონდომება და აპლიკაციის სწორი შევსება. დაფინანსებები შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ საიტებზე:

www.salto-youth.net
www.eastchance.com
http://eyp.org/sessions/all-events/
http://ic.daad.de/tbilissi/

ასევებ შეგიძლიათ აქტიურად მიიღოთ მონაწილეობა უნივერსიტეტების გაცვლით პროგრამებში, თუ უფრო გრძელვადიანზე წასვლის სურვილი გაქვთ, ამ პოსტით, მე მხოლოდ მოკლე სამოგზაურო გასვლებით შემოვიფარგლები.

გავიდა დრო, მეც გავიზარდე და უკვე ვეღარ ვახერხებდი ახალგაზრდულ აქტივობებში ჩართვას, შესაბამისად, გახდა აუცილებელი, რამე ალტერნატიული გზა მომეძებნა, უფასო ან იაფიანი მოგზაურობების, თანხა უკვე მქონდა, თუმცა ხარჯების გარეშე მოგზაურობამაც მიჩვევა იცის და იმაში, რასაც ადრე უფასოდ აკეთებდი, მერეც გიჭირს თანხის გადახდა, ასე გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში ქაუჩსერფინგი: www.couchsurfing.org

ეს არის საიტი, სადაც თავმოყრილია მოგზაურები სხვადასხვა ქვეყნიდან და ისინი გმასპინძლობენ უფასოდ, სანაცვლოდ, როცა შენს ქალაქში ჩამოდიან, შენ მასპინძლობ, ანუ ერთგვარი გაცვლა გამოდის საცხოვრებლების.

იკითხავთ, რამდენად უსაფრთხოაო. მუშაობს რეფერენსების სისტემა, ანუ ვინც რჩება კონკრეტულ მასპინძელთან, უტოვებს დადებით რეკომენდაციას, ან უარყოფითს, რომლის წაშლაც შეუძლებელია, შესაბამისად, როცა ნახავთ, რომ მინიმუმ 10 ადამიანი დარჩა მასთან და ყველა აღფრთოვანდა, ეს გულისხმობს იმას, რომ თქვენთვისაც კომფორტული იქნება. ჩემი პირველი სტუმარი ფრანგი ბიჭი იყო, რომელიც დამყავდა ჩემს მეგობრებთან ერთად, სხვადასხვა გასართობ ადგილებში და გარდა იმისა, რომ დრო კარგად გავატარეთ, ენის კუთხითაც საკმაოდ დადებითი პრაქტიკა გამოვიდა.

ადამიანები სასურველია შეარჩიოთ ადგილმდებარეობის, საერთო ინტერესების და სხვა ბევრი პარამეტრის მიხედვით, თუ კომენტარებში უწერენ, რომ საოცრად ამზადებს საკვებს, ეს ნიშნავს, რომ თქვენ უფასო ღამის გასათევთან ერთად, კვებაც გელოდებათ. სახლების დიდი ნაწილი, 4 ვარსკვლავიან სასტუმროებს არც ჩამოუვარდებიან და მთავარი:

აქ არ ატარებ დროს სასტუმროს ცივ კედლებში, აქ გყავს ადამიანები, რომლებიც გაკვალიანებენ, დაგყვებიან, გიხსნიან, გეხმარებიან ქალაქის შეგრძნებაში;

ცხოვრობ ოჯახში და უფრო ღრმად შედიხარ მათ კულტურაში, იგებ, როგორც ცხოვრობს, ვთქვათ, რიგითი პარიზელი ოჯახი;

არ გიწევს ხალხის გასაცნობად კლუბებში დროის ხარჯვა, მათ მეგობრებში გაერევი, რომლებიც უკვე კეთილგანწყობილები არიან თქვენს მიმართ და გართობაც მარტივდება შეიძლება მასპინძელი ვიზუალური და სხვა ნიშნებითაც შეარჩიო და საკურორტო ლავ სთორისაც გამოჰკრათ ხელი.

გადაადგილებისთვის იდეალურია ბლაბლაქარი: www.blablacar.com ეს არის საიტი, სადაც რეგისტრირდებიან ადამიანები, რომლებიც მანქანით მიდიან ერთი ქალაქიდან მეორეში და მიზერულ ფასებად თან გაგიყოლებენ და სასურველ ადგილასაც დაგტოვებენ. შედარებისთვის, მილანიდან ციურიხში მატარებელი 100 ევრომდე ჯდებოდა, მე 25 ევროდ ვიმგზავრე ძალიან კომფორტულად მანქანით, სწრაფადაც და თან კარგი დროც გავატარე გზაში.

ის, რომ იგივე პიცა, რომელიც რესტორანში 15-20 ევრო შეიძლება ღირდეს, მარკეტში 2-3 ევრომდე ღირს და სახლში შეწვის შემთხვევაში, კარგადაც დაგანაყრებთ — ალბათ თქვენც იცით.

არც ფრენაა ძალიან ძვირი, www.wizzair.com საიტზე თუ შეხვალთ, შეგიძლიათ 50 ევროს ფარგლებში შეიძინოთ ქუთაისიდან ორი გზა: ვარშავას, კატოვიცის, ვილნიუსის ან ბუდაპეშტის მიმართულებით, რა თქმა უნდა, ეს პიკურ სეზონებს: ზაფხულს და ახალ წელს არ ეხება. ასევე, ყველა ავია კომპანიის ყველაზე იაფი ბილეთები შეიძლიათ ნახოთ საიტებზე: www.skyscanner.com, შემდეგ ნახავთ, რომელ ავია კომპანიას აქვს კონკრეტულ თარიღებზე ყველაზე კარგი შემოთავაზება და ან იქვე იყიდით, ან კომპანიის საიტზე გადახვალთ.

საერთო ჯამში, თქვენი ფრენაც მოგვარებულია, ცხოვრებაც, კვებაც და შიდა გადაადგილებაც. წარმოიდგინეთ, თუ იყიდით ბუდაპეშტს 50 ევროდ, იცხოვრებთ ადგილზე უფასოდ, გადაადგილდებით 10-15 ევროს ფარგლებში ქალაქიდან ქალაქში და დავამატოთ მცირე ჯიბის ფული 5 დღეზე, ჯამში 150-200 ევრო გამოგივათ, რაც დამეთანხმებით, რომ საკმაოდ მისაღები ფასია თითქმის ნებისმიერი სოციალური ფენისთვის.

მოკლედ, ამ პოსტისთვის ბოდიშს ვუხდი ტურისტულ კომპანიებს და წარმატებას გისურვებთ თქვენ, მიმდინარე თუ მომავალო მოგზაურებო.

დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში, გთხოვთ სათითაოდ ნუ მკითხავთ, შეგიძლიათ გამოიწეროთ ფეისბუქის გვერდი: Guram Sherozia და პირდაპირ, პოსტების სახით გაეცნოთ ჩემს პრაქტიკას, ყოველი მოგზაურობის დროს, ყოველდღიურ რეჟიმში.

p.s. ვიზის და სასწავლო დაფინანსების თაობაზე, ცალკე პოსტს დავდებ, ეს რომ ძალიან ვრცელი არ გამოვიდეს და არ გადავიღალოთ,

წყარო:
გურამ შეროზიას ბლოგი

მარტივი რჩევები ზაფხულისათვის

ზაფხული — მოგზაურობის, ზღვაზე წასვლის, ხანგრძლივი სეირნობისა და რომანტიკული შეხვედრების სეზონი. იმისათვის, რომ მიიღოთ მაქსიმალური სიამოვნება ზაფხულისგან და არ გამოგრჩეთ რაიმე მნიშვნელოვანი, დაგეხმარებათ ჩვენი მარტივი რჩევები.

მოგზაურობის წესი: ჯანმრთელობა, კომფორტი, პრაქტიკულობა

ზაფხული საუკეთესო დროა იმისათვის, რომ სცადოთ მხედველობის კორექცია კონტაქტური ლინზებით. ზაფხულში, განსაკუთრებით მოგზაურობის დროს, უმჯობესია უპირატესობა მივანიჭოთ ერთდღიან ლინზებს UV ფილტრით (ულტრაიისფერი სხივებისგან დამცავი ეფექტი).

ერთდღანი ლინზები მოსახერხებელია მგზავრობის/მოგზაურობის დროს

ის არ იკავებს დიდ ადგილს, არ საჭიროებს ხსნარსა და კონტეინერს. ამასთანავე, მისი წაღება შეიძლება ხელბარგით, რაც განსაკუთრებით აქტუალურია საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობისას, რადგან გამკაცრებულია უსაფრთხოების ნორმები.

ერთდღიანი ლინზები დაგეხმარებათ სპორტში კარგი შედეგების მიღებაში

მისი გამოყენება შეიძლება აქტიური სპორტის სახეობებში, მაშინ როდესაც სათვალის გამოყენება მოუხერხებელია. სათვალისგან განსხვავებით, კონტაქტური ლიზნები უზრუნველყოფენ მოძრაობის მაქსიმალურ თავისუფლებას. ამასთანავე არ არის შეზღუდული პერიფერიული მხედველობა.

ერთდღიანი ლინზები - უფრო უსაფრთხო კონტატური კორექციის მეთოდი ზაფხულისთვის

იმისათვის, რომ არაფერმა არ გაგვიფუჭოს დასვენება, უნდა დავფიქრდეთ ლინზების უსაფრთხო მოხმარებაზე. ერთდღიანი ლინზების უპირატესობა არის ის, რომ ყოველდღე თქვენ იკეთებთ ახალ, სტერილურ ლინზას და ეს საგრძნობლად ამცირებს ანთების შესაძლებლობას. ამასთანავე მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ზაფხულის პერიოდში იზრდება ალერგიული რეაქციების რიცხვი. ერთდღიანი ლინზა საშუალებას გვაძლევს, თავიდან ავირიდოთ ალერგიის მაპროვოცირებელი ნივთიერებების ლინზაზე დაგროვება. ამიტომ, ალერგიული ადამიანებისთვის უმჯობესია არჩევანის ერთდღიან ლინზებზე გაკეთება.

ზაფხულის წესი: თვალების დაცვა ულტრაიისფერი სხივებისგან (UV)

ზაფხულის დადგომისას ჩვენ არამხოლოდ გარდერობს ვაახლებთ, არამედ ვცდილობთ თავის მავნე ულტრაიისფერი სხივებისაგან დაცვას - ჩვენ ვიცით, რომ მზის მავნე სხივებისგან კანის დაცვა აუცილებელია. მაგრამ, UV სხივების მავნე ზეგავლენისაგან დაცვას საჭიროებს არამხოლოდ კანი, არამედ თვალებიც და მათი დაცვა UV სხივებისგან ჩვევად უნდა ვაქციოთ. კონტაქტური ლინზების შერჩევისას უპირატესობა უნდა მივანიჭოთ UV ფილტრის მქონე ლინზებს, ამასთანავე ლინზებთან ერთად, უნდა გამოვიყენოთ ხარისხიანი მზის სათვალე.